

F

4.048

1

441355-2  
0820110000



# რომელი

მოქანდაკი

ს ა ხ ე ლ გ ა მ ი  
ა უ ბ ა ვ ა ვ თ ე ს ა ხ ა რ ა ზ ა ჩ ა რ მ ბ ი  
ს ა ხ ე ლ გ ა მ ი  
გ ვ ი წ ი ს 1934



0005-8888  
6026688(0886)



სპეც-2000  
შემოზღებულის

8833.

1562

1-60


օվկորտե բահուց շաղա

Օ Հ Ա Ր Յ Ե Հ Ա Յ Ո  
Յ Ո Ւ Յ Ո Ր Ո Վ Ո Ւ Յ Ո Ր

մ ն մ ո ն

Յ Ն Դ Յ

K 6+488  
1



1-41048

Ս Ա Բ Ա Շ Ա Յ Ո Ւ Յ Ո Ր  
Հ Ա Յ Ո Ւ Յ Ո Ր Յ Ո Ւ Յ Ո Ր Ո Վ Ո Ւ Յ Ո Ր  
1934



პ/რედაქტორი: — აკ. რეზვიაშვილი  
ყდა, ტიტული, გრავიურა —  
ლადო ქუთათელაძისა  
კორექტორი — ს. ხვიჩია  
გადაეცა წარმოებას 25/II 34  
ხელმოწერილია დასაბეჭ. 25/III 34  
მთავლიტის № 94  
შეკვეთა № 286  
ტირაჟი 3000  
საქ. სახ. პ/სკოლისა წერეთლის ქ. № 3.



ზესტატონის ს. ს. ს.  
პოლიტგანყოფილებას



მიმდინარეობს შარალი მგზავრი,  
 ზღვის ნაშიერი და ზღვის თაობა,  
 პოეტებს მუდამ უყვარდათ მძლავრი  
 რიონის ხმა და გამბედაობა;  
 ამწვანებული მისი ნაპირი  
 ყოფილა ველურ ტალღების ლუკმა,  
 რიონი გიჟი და პირდაპირი  
 განალგურებულთ ტოებდა უკან;  
 ყაჩალებივით მისი ტალღები  
 შემოსევია ყანებს, და მერე  
 დაუკრეფია სოფლის ბალღები  
 და თვითონ გიჟი და მოსიმღერე,  
 მხეცი, ამაყი გაუგონარი —  
 რა ერთხელ კიდევ აღიდებულა:  
 მღვრიე, მსუქანი და ნაომარი  
 ზღვისკენ დენილა და დიდებულად  
 გადაუსილავს კოლხეთის ველი, —  
 მაგრამ ქედ მაღალ მთების მნახველი  
 ზღვაში შესულა და დაღუპულა  
 მჭეხარე ხმა და მისი სახელი.

ბატონი რიონ! დასრულდეს შენი  
კიბეებიდან ველური რბენა!  
შენ ტურბინებში ტყვეობა გშვენის  
და ელექტრონის წიგნი და ენა.

ნაპირზე, ეტლით მორბის, მოტირის  
რიონს მელექსე და მეარლანე:  
არ დაივიწყო ძველი მოტივი  
და იმერეთის ანკარა ღამე!

არ დაივიწყო ყანა და ვაზი  
და გიტარაზე სიმღერა დისი,  
დედის სუფთა და ცრემლები ნაზი  
და იმერეთის ცა მარადისი!

არ დაივიწყო ძველი მარანი  
და კიდევ ბევრი, და კიდევ ბევრი,  
მოხუცი მამა და ჭირვარამი  
და იმერეთის ღვინო და ჭვევრი!

არ დაივიწყო მღვრიე რიონი,  
მინდორი, ეზო და ბნელი ქოხი,  
ძველი ქორწილი და მაყრიონი  
და იმერეთის მთვარე და ნოხი!

არ დაივიწყო... წაილე თანა  
და როგორც წიგნი გახსენ და ნახე...  
სადაც არ იყო ახსენე ნანა  
და იმერეთის ჭალარა სახე!

არ დაივიწყო ნათესავიცა,  
ურიას, თათარს შენი გერჩიოს,  
არ დაივიწყო კარგიცა, ავიცა  
და იმერეთს არ გადაეჩვიო!

არ დაივიწყო შენი მარანი  
და კიდევ ბევრი, და კიდევ ბევრი...  
ბრძენის თქმულება და ჭირვარავი  
და იმერეთის ლვინო და ქვევრი!

იჩქარის ეტლი და მწვანე-მწვანე  
ნაპირებს ფარავს რიონის მუქი...  
პრეისტორიულ გზას მისდევს მთვარე  
და ყანებს მისი ეფრძვევა შუქი.

იჩქარის ეტლი და შარა თეთრი  
ფართოა, სუფთა და მოკენჭილი,  
და მნათობების კიაფი მკვეთრი  
მგზავრის სუნთქვაში არის ჟეჭრილი.

იჩქარის ეტლი და ეზოკარი  
ქრება, და ჩნდება აღმართის კეფა,  
და გაქროლებულ ცხენების ქარი,  
და მესაკუთრე ძალების ყეფა ..

მიაპობს ლაჟვარდს მუმია ზეცის  
მარად ყინული... და სდუმან მთანი,  
ვრცელ სიმწვანეში ვით ფენა ვერცხლის  
მიმდინარეობს რიონის ტანი.

შავ ზღვის პირამდი როგორც მდინარე  
მიიმოკლებენ გზას წეროები,  
რიონს მისდევენ და მიფრინავენ  
თვითონ ცინი და ჩეროები.

იჩქარის ეტლი... გზაზე ჩრდილებად  
წვანან შტოიან ხეების წყება,  
ისმის რიონის მძლავრი დინება  
და მესაკუთრე ძალლების ყეფა.



მანდ ახმაურდა უცეპ მძინარე  
ეზო, გააღო ქალმა ჭიშკარი,  
და შემოუშვა შინ, მოლიმარებ  
შემოქროლებულ ცხენების ქარი.



მასპინძელს ფხიზლად უჭირავს ყური  
რომ არ დაურჩეს ცუდი სახელი...  
მთვარიან ცის ქვეშ მამაპაპური  
მანდ ძველისძველი წევს საწნახელი.

მთვარე მისცურავს და ვვიან ჩადის,  
სუნთქავა ქვეყანა ანკარა ღამეს,  
შემოაქვთ ყველი და თორნის მჭადი,  
ვაზის მტევანი და „კოტა რამე“.



ლამე ტეხო და ვერ დაიძინო  
ხარ მტერ-შოყვარის მოჭირვარამე,  
მოაქვთ მაჭარი და ძველი ღვინო,  
მოაქვთ საცივი და „ცოტა რამე“.

გოგონა თეთრი და ტანმსუბუქი  
როგორც პირსავსე მთვარე და ლამე,  
მოღის, შემოაძეს სუფრაზე შუქი —  
შემწვარი გოჭი და „ცოტა რამე“.

მოღის იმერულ სუფრის მხატვარი,  
შემატა სტუმრებს მან სითამამე  
შემოიტანა კიდევ ნამწვარი  
ღინჯი ღიმილი და „ცოტა რამე“.



ამბობდენ: მტერს არ გავეთელებით,  
ჩვენ ვიცით შრომა და მერე ლხინი,  
იქ კოლმეურნე არგვითელები  
დროს ატარებდენ „ძველის ძველ“ ლვინით

ეზოში იდგა მაღალი ზვინი  
ნოკიერება მათი შრომისი,  
ოდაში ქუხდა და ქუხდა ჟინით  
ლხინი მეოთხე შემოდგომისი.





„რა მუქი იყო ჩვენი დაისი,  
ჩვენ ერთხელ მშვიდად ვერ დავიძინეთ,  
ამბობდა ბრძენი სიზარბაისლით,  
სიბერის ხანში შესული მძიმელ.

„ვარ წინაპართა ქვევრის რაინდი  
და საუკუნე მე განწირული,  
არავინ ზის აქ ჩემი ყაიდის —  
არავის ესმის ჩემი ჩინური...



„ჩვენი მშობლები თევზები იყო,  
ჩვენ წყვდიად ზღვაში ვართ გაჩენილი,  
ჩვენი სამშობლო ზღვის ფსკერი იყო...  
ეხლა რიყეზე ვართ დარჩენილი.

და როგორც თევზი უძლური იყო  
და არა ჩვენებრ სნეული დარდით,  
რა ბედნიერი მშობელი იყო.  
რა კალმახივით ყოფილა მარდი.

არც მიწის მუშა და ძუნწი იყო  
არც არამი და მტარვალი ძმისი,  
რა წყვდიადი და უძირო იყო  
მარილიანი სამშობლო მისი.



წყლის ნაშიერი წყალშივე იყო,  
წყალს ეფრქვეოდა სხივები მზისი  
თევზებთან მარად უძლური იყო:  
ცეცხლი, ქარი და გრიგალი ზღვისი.

ზღვების გაჩენის უამიდან იყო,  
დენილა შემდეგ დრო მილიონი ...  
ჩვენ გვინდა მარად მიწაზე ვიყოთ  
ვით ოკეანე, ზღვა ან რიონი.

რა უსუსური სულდგმული იყო,  
მაინც უძირო ზღვების არ მშიში...  
ჩვენი მშობლები თევზები იყო —  
ვილრჩობით ზღვაში თევზების ჯიში...



პირველად წყალი იყო, რაც იყო,  
არსად ნაპირი და გოჯი მიწა,  
პირველად თევზი იყო, რაც იყო,  
თევზი, რომელიც ზღვის ფსკერში იწვა.

შემდეგ, ვინ იცის... ამოშრობილა  
ზღვა უძირპირო თუ გადასახლდა...  
ამწვანებული მიწა შობილა  
და... მერე თევზი მეთევზე გახდა.

ოცი იძენდა თუ ფრინველ უცლილ უძინ  
იძინებ ფინფინულ უძინებ იძინებ  
— ოცი იყო იუცმდ ლუბომჩის იუც  
იძინ ქოცი და ლუცხოველ ნიდენ



ვინც პირველ გაჩნდა და თევზი იყო  
რა ნაშიერი ფსკერწყვდიად ზლვისი,  
ვისი სამშობლო ბნელი ზლვა იყო—  
ვსვამ, სადღეგრძელო დე იყოს მისი...



ჩვენ ეხლა წყალში ყურყუმი გვიჭირს  
რაღან ვართ მწვანე ტყით დაბურული,  
მაგრამ ხმელეთელ ცხოველებს ნიჭი  
ჯერ კიდევ შერჩათ მეზღვაურული.

ზღვის ცხოველივით მიაპობს ნიში  
ბნელ ზღვის ზედაპირს ტალღებ ჭაფიანს  
ხმელეთელები ყოველგვარ ჯიშის  
ცურვით ზღვებისკენ მიისწრაფიან.

ჩვენ არ გვენახა მზე, მწვანე ფერი,  
კლდოვან ხმელეთის მუქი ნაპირი...  
ერთხელ დავტოვეთ ჩვენ ბნელი ფუკერი:  
ვიხილეთ ცა და ზღვის ზედაპირი.  
დავტოვეთ ზღვები აქაფებული  
და მოვაშურეთ ნაპირებს შიშით,  
ჩვენი ხმელეთი მზით ანთებული  
ყოფილა მდუღარ ზღვებს მონათიში.  
ეხლა რიონის, ზღვების მონები  
წარლუნის ფარდაგად ვართ დაგებული  
მარად უძლური ხერხით, გონებით  
ზვიად გრიგალებს დატაკებული.



ვიხილეთ ცა და ვიაზრეთ ზენა  
ზის უხილავი ყოვლის მშობელი,  
ჩვენ ერთი გვქონდა რწმენა და ენა,  
როგორც რიონი დაუშრობელი.  
მრავალ მილიონ ცხოვრების ფენა  
ზღვაში, ხმელეთზე მარად დენილა,  
ვინ იცის ქვეყნებს მზემ გაუთენა  
რამდენი ლამის მქრობელი დილა...



ვერ გაარღვიონ ლაუვარდის სისქე  
ადამიანის უსუსურ ხელით,  
როგორც წმინდანი ილტოდა ცისკენ  
მიწას დაკრული ვარსკვლავთ მრიცხველი.

ვერ გაარღვიონ ლაუვარდის სისქე  
მღულარე მზისგან შანთივით ცხელი...  
მაინც ილტოდენ, ილტოდენ ცისკენ  
რომ შეხებოდენ მნათობებს ხელით.



მშენებლობაში ხალხი ჩაება,  
დუღაბათ იქცა ღონე მონისი.  
რომ მიწვდომოდა ბებერ ხვთაებას  
კამდი გოდოლი ბაბილონისი.

და იზრდებოდა შენობა მათი  
რომ ტოლებოდა ზეციურ ღონეს.  
რომ ზეციური ემონა ჩათი  
ჭიანჭველების ძალლონის მქონეს.



კინები იძულ იმიტოშეცემენ  
 ისიმონ ეძოო იქნა დაბორცო  
 საბრძოვდ რეცეპ აფონიურეჭინ წოლ  
 ისიმონური იურიულ იუნი

ისიმ ინმენ აფონიური იუ  
 ქემოფ აუცილებ აფონიური წოლ  
 ისიმ იმონ ირცილებ წოლ  
 ქემონ ძიშიურახ ქაბცურენძინ

მათი ბელადი და მშენებელი  
 რა ბრძენი ვინმე თურმე ყოფილა...  
 მაგრამ ღვთისაგან უშველებელი  
 გეგმა ბელადის უარყოფილა...



მაინც უძირო ლაუვარდის სისქეს  
კალატოზების ხელები ჭრიდა,  
მაინც ილტოდენ, ილტოდენ ცისკენ —  
გადმოყურება უნდოდათ ციდან...

ქვეშ იყო მთები, ზღვა და მდინარე  
რბოდა მსუქანი და ამლვრეული...  
და წრიალებდა ხალხი „მძინარე“  
წყალდოდობისგან ბუდენგრეული.

თიმორ ქართველი აუგის მცენერი  
იძენს იძენს დოლებისტუნი ძიტცე  
იძორთ მცენეფი ინიშოუნცენ  
იძენს ცილორ ინომნაფც თიგ



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

იწევდენ მალლა ხალხების ღონით  
ზეცის მპყრობელთა ხმები, საქმენი...  
მშენებლობაში ვიღოდენ დრონი  
ვით უდაბნოში მდორე აქლემი.

იქ ერთად ერთი რწმენა და ენა  
დაღუპულა და... უნდა ეძებონ...  
ცაჲე გამოჩნდა მოხუცი ზენა—  
დაიღრიალა: ზღვების კერძებო!

საით მოდიხართ? დაბრუნდით უკან!  
გაგირღვევიათ ლაუვარდის სისქე,  
მაგრამ გახდებით ქვესკნელის ლუკმა  
თუ დაიძრება გოდოლი ცისკენ.

მიწაა თქვენი დღე და ხალისი,  
ბინა არაა ცა ცოცხალისი.  
ცაში სეირნობს სული მკვდარისი...  
ჯოჯოხეთისკენ გზა შემცდარისი!



დე თუ ძეგლში ისტო ფილიც წი  
...მონაცე დამუ ...თ იუცხულით  
— ძეგმ იცავთ თემითნაგ ცმის  
!ობცხოცხ ქინდეოზ : ხუთორენით

~~მაცხოველი თემით და მართვის თემი~~  
• ცხმის მართვის თემით და მართვის თემი  
• მაცხოველი თემით და მართვის თემი  
• მცხმის იუთარი ბატონიშვილი

• იმიური და ცეც იმცხვი დაწინ  
• იმიური და ცეც იმინ  
თრთოდა ლაუვარდი, ბებერი ზენა იშვი  
ლრუბლებზე იყო ჩამოკიდული,  
ცისკენ ვიდოდა მონების დენა  
სამშენებლო ქვით დატვირთული.

ზეცისკენ ლტოლვა სამასწლოვანი,  
 ვინ შეაჩეროს გულნალონებო,  
 მათი ბელადი სახე მცხოვანი  
 ყვიროდა: „გასწით ცისკენ მონებო!..

მრავალ ომებში ვართ გამოცდილი,  
 უძლეველია მონების ღონე...  
 ყვიროდა: ცაზე გაკრულა ჩრდალი  
 ადამიანურ პირსახის მქონე.



გამოჩნდა როგორც მაკლური რამე  
გოდორის თაღზე მაშინ ცდომილი,  
ვრცელ სამყაროზე გავრცელდა ლამე...  
ხალხი ლვთაებას გადადგომილი  
მუხლთ მოიყარა დღიურ ვაებით.  
და კიბეებზე დაღლილი მიწვა –  
შეშინებული მოხუც ლვთაებით  
და მოწყვეტილი ზღვებსა და მიწას...



ხლვთაებამ იხმო ჯალათი მაშინ —  
ეშმას უჩვენა გზა პირდაპირი:  
„წალი და თესე მძინარე ხალხში  
ჯოჯოხეთური შხამი და ჭირი!



მერმინდელ დროთა იმ ღამეს ხალხი  
ვაი რა კრულვით მოიგონებენ...  
ეშვამ მოსილმა ყორანის თალხით  
ჩაითვაროლა ბაბილონელებს...

შთაბერა სული და კალატოზებს  
ჯოჯოხეთური დღე გაუთენა...  
წყვდიადის ფსკერში შთაინთქა დროზე  
რა აურია მშენებლებს ენა.

— მამის ციფრულ თემა ჩახვისა  
თორინავრის ამ იმედებ ძალებ  
ამჟად ცოდნის ეჭვი თუ იუდეა  
თითქ თუ მისმ იძულებოსთვის



და იყო იგი დღე უბედური —  
რა მამას შვილი, ძმას ძმა ვერ მიყვა  
შეიქმნა გმინვა ჯოჯოხეთური —  
ვით ზღვაში ქვიშა გამრავლდა სიტყვა...

ცოლს ვერ გაეგო სიტყვა ქმარისი  
დას თქმანი ბოდვად ეჩვენა ძმისი,  
და იყო უფრო შესაბრალისი  
რომ არ ესმოდა შვილს დედისი.



ასე დავლუპეთ გულსალონისი  
ჩვენ ერთადერთი რწმენა და ენა,  
ასე გოდორმა ბაბილონისიმ  
გადაგვამტერა ბებერი ზენა.

ჩვენ საქმე გვმართებს ჩვენი დონისი  
ცას ვერ იმონებს ლონე მონისი...  
გრიგალმა დასცა წყეულ დრონისი  
ამშენებლობა ბაბილონისი.



ცისკენ ვილტოდით ჩვენ დაჟინებით  
და... უბოლოო ტანჯვას ვუნდებით,  
ჩვენ იმ დროიდან ვართ დასჯილები  
მრავალ ენიან ბორკილ ხუნდებით:  
ჩვენ არ ვიყავით წინეთ ქართველი,  
იგი არ იყო წინეთ თათარი...  
ჩვენი სად გაქრა ძველი ნათელი  
და ენა ძველი ჩვენი სად არი?



ვინ გადმოლახა მთა თოვლიანი  
და წყალდიდობამ მოუსწრო გზაში,  
მოსპო ქვეყანა მწვანე ტყიანი  
და თაობები ჩასილა ზღვაში...  
გაუძლო მამა-კაცების ლრიალს,  
მილიონ ქალთა გლოვას მდუღარეს  
ზღვამ, სადაც ცრემლებს მარადის ღვრიან  
აყრუებს მოთქმას ზღვის სიმჭუხარე.



ოსმალები გვიცხოვთ და ჩვენ  
არ გვიცხოვთ არა ის არა ის არა ის  
არა ის არა ის არა ის არა ის არა ის  
არა ის არა ის არა ის არა ის არა ის

— ისა მას შემდეგ არა ის არა ის არა ის  
არა ის არა ის არა ის არა ის არა ის  
არა ის არა ის არა ის არა ის არა ის  
არა ის არა ის არა ის არა ის არა ის

მანდ წინაპართა ქვევრეს რაინდი  
ამბოხდა როგორც დრო განწირული...  
„არავინ ზის აქ ჩემი ყაიდის —  
არავის ესმის ჩემი ჩინური...“



ვსვამ, სადღეგრძელო დე იყოს მისი  
ვინც აამწვანა ნაპირი ზღვისი,  
ვინც გააჩინა მზე მარადისი  
და მნათობები მოისხა კისი.

თვალები მოგვცა ჩვენ სანატრისი—  
ვიხილოთ ყოველ ღამით და დღისათ  
ყინულოვანი მწვერვალი მთისი  
და სიღიადე მახლობელ ტყისი.

თვალები მოგვცა ხილის ფარი  
და ფერის მიზან და უძლეობი დოქონები  
მათის ინტერესი ჩა მის მიერთა  
არცების ინტერესი მისას



ვინც მიწას პირველ დაადგა ფეხი  
და სიკვდილამდი იმოგზაურა,  
ვინც გაიგონა პირველი მეხი —  
უძირო ზღვები აახმაურა.

ვინც იმ თავითვე იყო და წინათ  
აშენა ყინულთოვლიან მთანი,  
ვინც დაუშინა სეტყვა და წვიმა  
და დაისველა პირველად ტანი.



ვინც ჯადო სიტყვა პირველად თქვა და  
აიღო, მოძმეს ესროლა ქვა და  
ვისაც პირველი ნასროლი მოხვდა  
და უპატრონო პირველი მოკვდა...

ვინც ქვა გათალა უხსოვარ ხნისი  
და მოიპარა იარაღი სხვისი,  
ვინც ნახა პირველ ამოსვლა მზისი —  
ვსვამ, სადლეგრძელო დე რყოს მისი.

ვინც სიყვარული პირველ დალოცა,  
 პირველად ტრფობის მოედო აღი,  
 იყო დევნილი და საბრალოცა—  
 დაეცა, როგორც ლვინისგან მოვრალი.

დაეცა, ყოვლად შესაბრალისი  
 ენთო, ეწამა მრავალი გზობა,  
 ბოლოს მოიგო გული ქალისი—  
 სხეულისადმი სხეულის ნდობა...

ვინც დაიმონა უძირო ტრფობა  
 მკერდ განიერის და გიშერ თმისი,  
 ვინც ვაჟი ქვეყნად პირველად შობა.  
 ვსვამ, სადლეგრძელო დე იყოს მისი.



ვინც თქვა პირველი იგავარაკი  
და უბოლოო ზღაპარი ტკბილი,  
ვინც მარხვის შემდეგ დაკლა ზვარაკი  
და შემწვარს პირველ დაადგა კბილი.

ვინც ვაზი დარგო და მოსალხინო  
შავთვალა მტევანს შეახო ხელი  
ვინც გამოწურა პირველი ღვინო,  
ვისაც ქვევრები და საწნახელი  
წყვდიად ღამისფერღვინით მქუხარე  
ქონდა და ედგა მამაპაპური  
მარანი ბნელი, თვით არ მწუხარე  
იყო და პირველ გატეხა პური...



ვინც შუბლ გახსნილი იყო და თურმე

სხეულს ეფარა ნაბადის თექა,

ვინც მოყვებოდა შინისკენ ურმებს

და ვინც პირველი ურმული ჭექა...

ვინც კიდევ ბევრი არ დაივიწყა

წინაპართა და ღვაწლი მამისი,

ვინც არ დაუთმო მეზობელს მიწა,

ვსვამ, სადღეგრძელო დე იყოს მისი.



ვინც პირველ მიხვდა ცეცხლის გაჩენას,  
აქცია ნაცრად ფიჩნი ხისანი,  
ვინც სასწაული მოძმეს აჩვენა  
და ვინც პირველად იყო მისანი.

როდესაც ხეებს მოედო ალი  
ზეციდან შავი მჭვარტლი ცვიოდა;  
იგი მირბოდა შიშით ფერმკრთალი  
ცეცხლით ტყეები ააწიოკა...

ვინც საღმე რკინა პირველად ნახა,  
 ლითონი პირველ ვინც ააღულა  
 და პირველ ჭედვა ვინც განიზრახა—  
 შეიქმნა ქვეყნად შჭედელი ჯმუხა—  
 საღ პირველ ნაჯახს ტყემ შემოსძახა.  
 როცა წაიქცა პირველი მუხა,  
 ვინც გაოცებულ გააღო ხახა,  
 როცა ხმამ ხევით ამოიქუხა—  
 ვინც შეძლო პირველ წაქცევა ხისი—  
 ვსვამ, საღლეგრძელო დე იყოს მისი.



ვინც საწისქვილე გათხარა არხი—  
საღ პირველ ქვების ტრიალი მოხდა.  
ვინც პირველ ხურო იყო და სახლი  
ააგო მუხის ხისაგან კოხტა.  
ვინც გაარჩია „ჩემი“ და „სხვისი“—  
ვსჭამ, საღლეგრძელო დე იყოს მისი



ვინც პირველ იყო გულგანახარი  
შრომაში დაღლილ და მოხენდილი,  
ვინც პირველ ულელს შეაბა ხარი—  
შეება მინდორს ალიონ დილით—  
დაეცა პირველ სხივები მზისი —  
ვსვამ, სადლეგრძელო დე იყოს მისი.



ვინც ატრიალა წისქვილი ქარით...  
ქარისეული შეისხა ფრთები —  
რა ველურ ცხენზე ყოფილა მჯდარი —  
გადინადირა პირველად მთები —  
იგემა ხორცი მან ნადირისი —  
ვსვამ, სადლეგრძელო დე იყოს მისი.



ვინც რიონს პირველ ესროლა ბადე  
პირველად ჩემებრ ხელობას მიყო—  
ვინც გაჩენილა მართალი ცამდე—  
პირველყოფილი მეთევზე იყო—  
პირველ დაიწყო გათელვა გზისი—  
ვსვამ, საღლეგრძელო დე იყოს მისი.



დღის მოვალე საცხოვო მისამართზე  
— თავის ასმოვთ არა მარტივი იმურავის  
— გადა მოვალე საცხოვო სამართლის  
— გადა მოვალე საცხოვო სამართლის  
— გადა მოვალე საცხოვო სამართლის

ვინც პირველ ქსოვა და პირველ კერა  
ოჯახის ბურჯი შემოსა მუშა,  
ვისაც რიონის პირ ქონდა კერა  
დღემდი და მოდგმა არ ამოუშრა...



ადიდებული რიონი ზვერა,  
ზღვამდი ამაყი მისი დინება,  
მღვრიე ტალღების ღელვა და მღერა —  
სოფელ წალეკილ ხალხის გინება.

მაგრამ რიონი ვინ გააჩერა —  
რა კიბეფბით ბარს ჩამოვარდა.  
მისი დაღუპვა არავის ჯერა  
შეუბრალებელ შავიზღვის გარდა.

ვერ შეეჯახონ ვერა და ვერა,  
მარადისეულს ვით მომაკვდავი,  
შეიძლონ მხოლოდ თევზების ჭერა,  
შეიძლონ მხოლოდ დაიხრჩონ თავი.



ჩვენებურ იღბალს თუ ბედისწერას  
აღარ ემონვის მისი ბუნება.  
რაგინდ გრიგალმა უბეროს,— ვერა.  
შეძლოს რიონის მან დაბრუნება...

ასე მარადი რიონის თქერა  
უძირო ზღვების ველაზ წევს დონეს.  
ვერ დაიმონან, ვერა და ვერა  
მდინარეების და ზღვების ლონე.

ვინ იცის წარლვნის დრომ დაუბერა.  
 გაღმოიღვაროს წყალით მთანიო.  
 და იმერეთი ჭილიონ ფერა  
 ზღვების ჯურლმულში ჩაიტანიოს...

ტალღები ვით ფრთა გაშლილი ძერა  
 დაეცა კოლხეთს ქვიშა მოფინა...  
 სათავე— სუსტი ზღვას დაეძგერა  
 და... მშობელს ვერვინ შეატყობინა...

მარად რიონი ვინ გააჩერა  
 გზაში, რა მთიდან ბარს ჩამოვარდა.  
 მისი დალუპვა არავის ჯერა  
 შეუბრალებელ შავი ზღვის გარდა...



წინაპროცესია ხმა რიონისი —  
ვსვამ, სადღეგრძელო დე იყოს მისი.



დგას ბრძენი როგორც მუქი დაისი  
თითქო ბუნდოვან ნისლში იძინებს.  
საუკუნოვან სიღარბაისლით  
დგას, სიბერეში შესული მძიმედ.

მანდ წინაპართა ქვევრის რაინდი  
ამბობდა როგორც დრო განწირული...  
„არავინ ზის აქ ჩემი ყაიდის —  
არავის ესმის ჩემი ჩინური...“



ბრძენს სიჭაბჭყეს ვინ დაუბრუნებს...  
წელთა სიმღერა თუ მაყრიონი —  
მისი ამაყი დრო — საუკუნე  
დენილა მღვრიე, როგორც რიონი.

მისი მერმისი ხანდალუპული...  
რიონის პირებს ამწვანებს უხვად  
ნორჩი ტყე, იგი გულჩათუთქული  
ფუღუროვანი დგას როგორც მუხა.



თათარს ურია გაუხდა სიძეთ —  
აემლვრათ ხმები და სიმღერები:  
საუკუნოვან მოხუცის სიბრძნეს  
აშასხარებენ პიონერები...

მანდ შვილის შვილის შვილმა ბრძენს  
კითხა:

„არ დამეცემა თუ შენი კეტი,  
„მინდა პიონერს მართალი მითხრა...  
„ხარ ჩემზე ხანით ხომ ათჯერ მეტი..

„შენ საუკუნე განვლე და ღრუა  
შენი დრო „.. (მაგრამ მოხუცი ყრუა)  
„ადამიანებს, მართალი თუა,“  
რომ სიბერეში აკლდება ჭკუა...



პიონერებმა იცოდენ მითი  
ბრძენის. და სიცილს ტეხდენ მქუხარედ.  
ერთხელ გლობუსზე უჩვენეს თითით  
ორ ზღუა შორის მდებარე მხარე...  
თავისუფალ დროს ლამით თუ დღითი  
გაუმართიათ კამათი ცხარე...  
უმტკიცეს, ერთხელ გაკაფულ გზითი  
მოძრაობს ცაში მიწა ვით მთვარე...

მოხუცმა ველარ წარმოიდგინა  
მიწა ბურთივით, და სამწუხაროდ  
პიონერვაჟმა ბრაზით იგინა;  
რა უგუნური ბრძენი რამ ხარო...



მცირე წლოვანი მოპირდაპირე  
ფიქრობდა... ასე მომელის ნუთუ...  
ბრძენი რიონის მწვანე ნაპირებს  
უმზერდა, წევდა ჩიბუხით თუთუნს.

საუკუნენი აქ ჩაიღუპენ --  
რიონის მღვრიე ხმას მიყოლილი...  
ბრძენი ცხვირიდან უშვებდა ღრუბელს  
წაქცეულ მუხის ხეს მიწოლილი.



სანაპიროებს ღრნის მდინარება,  
ვეება ჭადრის ხე ძველთა ძველი  
მდინარის ნისლში ხან იფარება  
ხან ცის ქვეშ მწვანე შრიალებს ხმელი.

იდგა ველზე და ვით საუკუნე  
 მოშორებული რიონს ჭადარი  
 უძლებდა გრიგალს და უამთა უნეს —  
 შემოილეწა ბევრი ავტარი,  
 მაგრამ რიონი მინდორს შეება —  
 მწვანე ნაპირებს ჩაუმჯუხარა —  
 მიუახლოვდა ჭადარს ვეებას —  
 ტალღებით ფესვა გამოუთხარა...  
 ზეზეურ გამხმარს ეხურა ჩადრი...  
 მრავალ შტოება —ოდეს დიადი  
 წაადგა რიონს თავზე და... ჭადრის  
 ლრუში შევიდა ლამის წყვდიადი.

იქნებ ოდესმე აღიზებული  
 ჩამოილვაროს მთების ავდარი.  
 რიონს განთქმული და დიდებული  
 წამოელეჭოს თავზე ჭადარი...



უინ იკის რიონს მოენდომება  
უძირპირო ზღვის გახმელეთება,  
დაბადებიდან მთას ეომება  
და ქედმალალი მთა იხეთქება  
შვა გაპობილო რიონის ბასრით,  
აკლდება მიწა და მწვანე გარსი  
დრო და დრო სულ ძირს იგი ეშვება  
ბარს უტოლდება მისი მწერვალი...  
და რიონს შეაქვს ზღვაში პეშვებად  
ქვიშად ქცეული კლდეების ძვალი.



მდინარის ძალამ კლდე ჩამო. თიშა-  
ჩამოიტანა ღოვლათი ბარად.  
უზარმაზარი ლოდები ქვიშად  
აქცია და შავ-ზღვას ჩააბარა...



შდინარე (ყოველ მდინარის მკვიდრი)  
რბის თითქო დენა თვითონ ინება.  
ცხოვრებაც თვითონ იღინებს ვიდრე  
რიონი სულ არ გაიყინება.

ვიდრე სიკვდილს არ დაემონება  
მიწა ყინულის გარს გადაკრული.  
აწრიალებულ კაცის გონებას  
სურს დაინახოს ჯერ არ ნახული —  
სადაც ჰლვები ყავს ყინვეთს მონებად  
სურს გააჩინოს იქ გაზაფხული.



ვიდრე ყინვეთში არ მოეთავსა  
მიწა, რიონის მწვანე ნაპირი  
ცხოველთა ხმებით იქნება სავსე  
და იგრიალებს ზღვის ზედაპირი...

რიონის ძალამ კლდე ჩამოთიშა,  
ჩამოიტანა დოვლათი ბარად.  
უზარმაზარი ლოდები ქვიშად  
აქცია და შავ-ზღვას ჩააბარა.



წვეთს უერთდება ნაჟონი წვეთი —  
მათ მარად ზღვების იზიდავს დონე.  
იზრდება გზაზე და კლდეთა მკვეთი  
ჩნდება ვეება მდინარის ლონე.

ჩანჩქერი — ჩანჩქერს და ლელეს — ლელე.  
ნაკადი — ნაკადს და წყაროები  
აღგენენ რიონს გზაზე და მერე  
რბიან ვით ერთი ნაწარმოები....



მაგრამ რიონი როგორც ჩიტის ხმა  
„ქრება“ რა ზღვაში მოეთავსება.  
ზღვა ვით მილიონ ლომების რისწვა  
ქუხს, ავიწყდება „ჩიტის“ არსება.

რიონი მთა-ბარ ძლევამოსილი  
ბასრი ტალღებით კლდეების მკვეთი,  
რომ ჭაობები ქვიშით მოსილა  
ზღვაში შთანთქმულა ვით ერთი წვეთი...

თვლემენ!..და როგორც მძინარეები  
პრეისტორიულ გზებს მიყვებიან,  
მერე... მსოფლიო მღინარეებიც  
ოკეანეში იღუპებიან...



მათი ღელვა და გმინვა გაისმის —  
რა მძლავრ მდინარეს შეიერთებენ  
რბიან ლომების სიღარბაისლით  
პრეისტორიის ბნელი ღმერთები...

გზაზე ლოცვებით და სიმღერებით  
ხვდებიან. ხმები ხალხს ჩაუვარდა.  
დაიმორჩილეს ძველი ერები  
მდინარეებმა, ბნელ ზღვების გარდა.

ტალღები მძაფრი, კვლავ მოსიმღერე  
გლეჯენ და გლეჯენ ხმელთა წიბოებს.  
მდინარეები მირბიან... მერე  
ტოებენ უკან სახელმწიფოებს...



როგორც ძლიერი აღმართს ხარები  
მდინარე დაღმართს ხნავდა, ნაპირი  
იყო დარბეულ-გაუხარები.

რიონმა მრუდე თუ პირდაპირი  
ზღვამდი გააპო ხმელეთი მწვანე,  
ქვიშიანი და ტალღები ჩქარი  
მოავლო ტყეებს, სოფლებს და ყანებს —  
დაქანდა ზღვისკენ ვით ზენა ქარი...  
ზღვის ნაშიერი ზღვისკენ რბოდეს.  
ზღვაში შერღვევა მიუხაროდეს.  
„ჩვენი თავი ჩვენ გვექუთვნოდესო“ —  
არ უმღერია რიონს აროდეს.

ამგრივ იცი კოდოსაფე ძაღლი  
 ცოცხ ქვეყნი მხატვრი იმოსი მავრი  
 და ის ასე მანებელი მარი  
 ცოცხლის მა კოდოსაფე  
 ამგრივ იცი კოდოსაფე  
 მანებელი მა კოდოსაფე  
 ამგრივ უკიდურეს მავრი  
 ცოცხლის მა კოდოსაფე

ამგრივ იცი კოდოსაფე  
 იმედ მოაწი კოდოსაფე  
 ამგრივ იცი კოდოსაფე

ასე სრულდება რიონი შენი  
 კიბეებიდან ლოდებზე რბენა,  
 შენ ტურბინებში ტყვეობა გშვენის  
 და ელექტრონის წიგნი და ენა.



შიქრის აღმართით შენი დინება.  
რადგან რიონი მტკვარს ერთვის. მერე  
ბოლშევიკების ტვინმა ინება  
შემოგიერთოს შენ მოსიმლერე  
აქაფებული თერგის დინება.  
რომ არ ემონო კვლავ ზღვების დონეს,  
რადგან ლენინმა ერთხელ ინება  
შებოჭოს შენი და ზღვების ლონე...

პრეისტორიულ ღმერთებს შეები,  
დნეპრის წყალს ერთვის მზე-რიონ-დენი.  
შეერთებული მდინარეები  
ლაპარაკობენ ლენინის ენით.



შენ შეარყიე ტყის შიძინება,  
ველურ მოდგმათა დაიწყე თელვა.  
მიქრის აღმართით შენი დინება,  
ელექტრონული სიჩქარის ელვა.



თერგს — რიონი, ვოლგას — მტკვარი.  
კავკასიის წყაროები...  
რესპუბლიკის წყალთა ღვარი —  
ძალა ჩვენი წარმოების.



შენ დნეპრის მაღალ მზეს საჭიროებ,  
იყო ჭაობებ ამოშრობილი,  
თეთრი ზღვის არხის სანაპიროებს  
მიწვდეს რიონის წყალში შობილი...

ხალხთა გაალხო მან შძინარება...  
იყო ლენინი ზღვების ბელადი...  
გილროცენტრალი დგას,— მდინარება  
წყლების შესცვალა ძველთა—ძველადი.



შექმნიან ზღვების კავშირს მხარენი  
რომ განაგებდეს ტვინი ერთისა.  
აღმოსავლეთით მიმდინარენი  
შეუერთდება დასავლეთისას...,

შეუერთდება რეინს ამური  
ვოლგას დუნაი და მხარეები.  
ექნება მძლე და ხმა საამური  
ინტერნაციონალს მდინარეების.

ასე სრულდება რიონო შეხი  
კიბეებილან ლოდებზე რბენა.  
შენ ტურბინებში ტყვეობა გშვენის  
და ელექტრონის წიგნი და ენა.

შენ გიმლეროდა კაცი „ქართული“  
შენ მიღმუოდი ნაპირებს წინა.  
ეროვნულ შხამით სისხლ მონათლული —  
მდინარემ მაინც ვერ მოარჩინა...

თურმე რიონში ქართული წყალი  
და ელექტრონი აღმოაჩინა...  
მას ფოილომდი ეჭირა თვალი  
და ნანგრევთ შორის ეპოვა ბინა



81



სამყარო მრავალ ფერადოვანი  
მოიარა. შინ მოვიდა მოთა.

შუბლ მაღალი და თმა ბუნდოვანი  
შინ იჯდა ბრძენი მილეულ დროთა.

მან საუკუნე განვლო და მისი  
ოდის პირ მღვრიე რიონი რბოდა.  
შერჩა უნარი ძველ ღვინის სმისი —  
მერე უკბილო ლოყები თრთოდა.

ვიწრო და ხმელი ძვლების სახსარი  
ბებერს ქარებით ქონდა სნეული.  
ქალამანივით იყო დამჭკნარი  
საუკუნოვან ბრძენის სხეული.



აცრემლებული სიმხიარულით  
მოხუცი მაინც მან შეაშფოთა.  
ტანისამოსით, ხმით, სიარულით  
მშობელ წინაპარს არ გავდა მოთა.

ბრძენი ოდესმე ღონე—კლდოვანი  
იყო. გიილო ფერი მთვარისი.  
გაღაეხვია თმა ბუნდოვანი  
მოთას იგი ვით უცხო გვარისი.

როგორ დაშორდენ წინაპრებს ძენი.  
არ გააჩნიათ გზა საკმარისი.  
არ გაეგებათ თქმულება ბრძენის  
და შორეული ხმა სამარისი.



ეროვნული

303-იარისი

იჯდა და მოთას უმზერდა მკვანეო

მალალ თოვლიან—ჩაფიქრებული.

როგორც ბიბლიურ ღვთაების სახე

ბუნდოვანი და გაფიტრებული.

იჯდა და...ბრძენის აზრის მიხედვით

ვიეშაპის ზურგზე სამყარო იწვა...

განსაზღრულია მთაგრეხილებით

და მარადიულ წყვდიადით მიწა...

მან საუკუნე დატოვა უკან,

გულის სისუსტეს გრძნობს ყოველ დღითი

მალე გახდება სამარის ლუკმა

ბრძენი და ბრძენის შესახებ მითი.

რიონის პირზე გაჩნდა და იღბალს

მიენდო. გარდა არ იცის რამე:

სურამისა და შავი ზღვის მიღმა

ქვეყანაა თუ წყვიდადი ლამე...

ერთხელ შუადღე შეიქნა მთაში  
ბნელი და ზეცამ ლრუბელი ლვარა.  
ჩამოიტანა რიონმა მაშინ  
თურმე ხეები, ჯოგი და ფარა.

ამბობდა ბრძენი: წყლებ მაყრიონი  
ამგვარი ჯერ არ მქონდა ნახული.  
რომ სამი დღე და ლამე რიონი  
იზარდა როგორც მხეცი ზლაპრული.

დალამდა. დალმართს წყალი შეება.  
აკანკალებდა ბნელ სივრცეს ელვა.  
იმერეთს აწვა მხეცი ვეება —  
არ შეწყვეტილა ლრუბელთა ლელვა.

რიონში ჭადრის ხე ჩაილეჭა  
 და წისქვილები წალეკა წყალმა.  
 ბებერ მეთევზე ბრძენს გული ეწვა  
 და სინანული აფევრია თვალმა.  
 წყალვარდნილები მთების, გამთიში  
 გვრგვინავდა. სივრცეს ეფარა ფარდა.  
 ყოველ ოჯახში შევიდა შიში  
 და თრთოდა ყველა რიონის გარდა.  
 გლეჯავდა ხეებს ფესვებიანად  
 მღვრიე ტალღების ბნელი ტოტები.  
 მანდ საჩი დღე და ღამე რიონი  
 ეომა ბეტონს გაბოროტებით.



ჯებირზე როგორც ბრინჯაოს კაცი  
მაზარა ჩაცმულ იღვა სტალინი.  
სახეზე სცემდა წვიმა და მკაცრი  
ზეცა ძირს იყო ჩამოტანილი...

ბრძენმა თქვა: ხმალი და სითამამე  
უხმოა, — მძლეა რიონის წყალი.  
გარედ ლელავდა სივრცე და ლამე  
არ დახუჭულა მოხუცის თვალი...

გამოჩნდა დილით მხე მთაზე მაშინ —  
უთხრა იმერეთს მან სამძიმარი  
ტან გაზმორებულ რიონის ხმაში  
ისმოდა სამი დღის ნაწვიმარი...



წამოდგა ჯოხით ღამის მთეველი  
ნახა გარემო: რეცხილან მთან,  
იდგა ჯებირი შეურყეველი  
და ქლებულობდა რიონის ტანი.

ნაავდრიანი და მარალ მგზავრი  
მიისწრაფოდა... ზღვების თაობა.  
მიიმღეროდა... უყვარდათ მძლავრი  
მგოსნებს რიონის გამბედაობა...

უამანებულო, გათავდა შენი  
ბატონობა და ველური რბენა.  
ბნელ ტურბინებში შედი და გშვენის  
ელექტრონული წიგნი დაენა.

1934 წ. იაჩვარი.

3. 1 - 60 8/393

1981X  
1980  
1980  
1980



10035000000

10035000000